

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მარტის N 6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილების პროექტზე

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მარტის N 6 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულება“.

ზემოხსენებულ წესების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტით განისაზღვრა კომისიის სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი, ამავე მუხლის მე-5 პუნქტით განისაზღვრა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი პირები, მე-15 მუხლით მეთოდოლოგიური და მომსახურების ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის ფუნქციები, ხოლო მე-17 პუნქტით საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ფუნქციები.

პროექტი ითვალისწინებს ცვლილების შეტანას საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მარტის N 6 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების“ რამოდენიმე მუხლში, რომლის შედეგადაც შეიქმნება ახალი სამსახური, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მომსახურების ხარისხის კონტროლის განხორციელებაზე და აქედან გამომდინარე, მეთოდოლოგიური უზრუნველყოფისა და მომსახურების ხარისხის კონტროლის დეპარტამენტს შეეცვლება სახელწოდება და მისი ფუნქციებიდან ამოღებული იქნება მომსახურების ხარისხის კონტროლთან დაკავშირებული საკითხები. ამავდროულად, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ფუნქციებს დაემატება კომისიის ცხელი ხაზით ხაზით მომსახურების უზრუნველყოფის ფუნქცია.

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება არ საჭიროებს ხარჯების დაფინანსებას, არ იწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებებებს და გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ან ხარჯვით ნაწილზე.

ნორმატიული აქტის პროექტის ავტორია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.